



F 4.764  
2

F 4.264  
2

9481  
F -

384

# ՈՐԱԿԱՎԱՐ ԵՂԻՆԻ

(Սովորած զն. աննա օմիլություննեա)

ଶେଷଗ୍ରନ୍ତିଲୀ ଓ ଗାମନପ୍ରେମିଲୀ ଡ. ବ. ପାତ୍ରିଳାଚିତ୍ରିଲିଙ୍କ,

233.3



# ილუსტრირირობული ნინო

(სოფლად კნ. ანნა ამილახვერისა)

წ. 4.764  
2



ପ୍ରଫିଲ୍‌ସି. ଏଲ୍‌ପ୍ରିନ୍‌ଟିଂ‌ନିତ ଶିଖିଦାଙ୍ଗ ଜାରି. ୧୯୧୮—୧୯୧୯ ୧୯୧୫ ଫିଲ୍ସ.

52 B. 201 16.3.00. 18/2. 3.00



† იღუმენია ნინო 1816—1905 წ.

(სოფლად კუნა ანა ამილახვრისა.)



## ს ა რ ჩ ე ბ ი:

1. ქართველი ქალი . . . . .	დეკ. 6. თალაქვაძე	3 83.
2. ილუმინია ნინო (ნეკროლოგი). . . . .		21 „
3. 25 წლის იუბილე . . . . .		28 „
 სიტყვა . . . . .	ეპ. ლეონიძისა .	29 „
” . . . . .	ნ. ი. ალ.-მესხიშვილისა	36 „
” . . . . .	თ'დ დ. ლ. ამილახვერისა	37 „
” . . . . .	გორის მარშლისა . . .	40 „
” . . . . .	თ'დ ლ. მუხრან-ბატონისა	42 „
” . . . . .	მარიამ მახარაძისა . . .	44 „
მილოცვა . . . . .	ეპისკოპ. ალექსანდრესი	46 „
” (ლექსად) . . .	გლეხ ზ. გარსევანიშვილისა	46 „
სიტყვა . . . . .	მ. ნ—ძისა . . . . .	48 „
” სამადლობელი ილუმენია ნინოსი . .	51 „	
დეპეშა . . . . .	მთავარმ-მართებლისა	52 „
პასუხი . . . . .	ილუმენია ნინოსი . . .	52 „



## ქართველი ქალი

(ვუძღვნი მცხეთის სამთავრო დედათა საფანის ნეტარ-  
ხსენებულ ილუმენია ნინოს ხსოვნას)

ჩვენში ქალს დიდი და საპატიო ადგილი ეჭი-  
რა. უფლებრივად ქართველი ქალი ანუ დედა-კაცი  
თანასწორი იყო **მამა-კაცისა.** ეს სწორ-უფლებრი-  
ვობა ამ ორ სქესისა ამას გარდა აღნიშნულია თვით  
ჩვენი ერის არსებაში, -- მისს ენაში, რომელიც არის  
გამომხატველი ადამიანის ჭკუა-გონების თუ მისს  
სულიერ ცხოვრების მთელ სალაროისა. აი ამ ჩვენ-  
შა ქართულმა ენამ არც კი იცის სქესობრივი გრა-  
მატიკული კანონი! ეს გარემოება კი სამართლია-  
ნად ანიჭებს მას სხვა ერთა ენებთან შედარებით  
განსაკუთრებულ კეთილშობილებას, ლაზათს და,  
თუ გნებავთ, სიმარტივესაც. ცხადია, სქესთა თა-  
ნაბრობა, თანასწორობა, ნიშანდობლივი, თანდაყო-  
ლილი თვისებაა ჩვენი ერისა.

ისტორიული ცხოვრებაც ჩვენი ერისა საუც-  
ხოვო მაგალითებით ადასტურებს ამგარემოებას. ჯერ  
იყო და სარწმუნოებრივ გადმოცემით ჩვენი ქვეყანა,  
ჩვენი ერი, ქერუბიმთა და სერაბიმთა უზესოაესს „დე-  
დაკაცის“ — ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის ხვედრი

გახდა! გარნა ამ დედა ღვთისამ წარმოგზავნა ანდრია პირველ წოდებულის დროიდან ჩვენში უხვად და-თესილ სახარების თესლის მომვლელ-მომრწყველად და ასალორძინებლად ისევ დედა-კაცი, — ქალწული წმ. ნინო.

ამიტომაც იყო, რომ იმ დროის ქართველობას არ ეუცხოვათ ჩვენში დედა-კაცისაგან სჯულის ქა-დაგება და სწავლა-მოძღვრება. პირიქით, წმ. ნინოს უმანკო ხელმა, ვაზისაგან სასწაულებრივ შეთხზულ და საკუთარ თმით გადახვეულ ჯვრით, საოცარი სისწრაფით და საფუძვლიანად განამტკიცა ჩვენში-სამოციქულო ეკკლესია. როგორის სიმტკიცით და შეურყეველ რწმენით შეისისხლხორცა ჩვენმა ერმა იესო ტკბილის მოძღვრება! ვერავითარმა ჯოჯოხე-თურმა ძალამ, ჩვენზე არა ერთხელ აღმართულმა, ვერავითარმა ისტორიულმა ქარიშხალმა თუ გრი-გალმა, ჩვენი ქვეყნის კიდით-კიდემდე არა ერთხელ გადავლილმა, ქართველ ერს ვერ გააგდებია ხელი-დან ჯვარი ქრისტესი!

ეს იმიტომ, რომ სარწმუნოების გაუნელებე-ლი ცეცხლი დედის ძუძუით უდვივდებოდა ჩვენ ხალხს გულში. დედის რძესთან ერთად სარწმუნოებაც ინერგებოდა შვილების მთელ არსებაში. ცნობიე-რებაში მოსული ჩვენი ვაჟი თუ ქალი დედის კალ-თიდანვე გრძნობდა, რომ ის არის ქართველი, რო-მელსაც აქვს ტურფა სამშობლო, ქრისტეს ემბაზში შობილი და მისს მოძღვრებით გაბრწყინვებული. არც სჯულს და არც მამულს ის არამც თუ არა-

ვის დაანებებს და შეაბლალვიებს,—არამედ, ამ თვისს  
 წმიდათა-წმიდის დასაცველად, სიცოცხლესაც არ  
 ზოგავს.

ამიტომ იყო, რომ ჩვენი ერი არა ერთხელ  
 განიბანა საკუთარ სისხლში! არა ერთი და ორი  
 დედა-კაც მამაკაცთა გუნდნი და გუნდნი მოწამე-  
 თანი შეეწირენ მსხვერპლად ქრისტე მაცხოვარს  
 უსჯულო მტერთაგან აღტყინებულ მოწამებრივ  
 კოცონზე. არა ერთხელ მორწყულა ჩვენი მიწა-  
 წყალი მათი სისხლით, არა ერთხელ წითლად შე-  
 ლებილა მოდუდუნე მტკვრის მღვრიე ზეირთები და  
 მჭეხარე რიონის გიუ-მაჟი ტალღები მამულისთვის  
 თავ-დადებულთა სისხლით!

ამ ჩვენ მოწამე დედათა თუ მამათა სახელი  
 შენ უწყი, უფალო!

გარნა ამ სახით ჩვენი ეროვნული სულის ჩამ-  
 დგმელი, მისი აღმზრდელი, მისთვის ქრისტიანულ  
 ტკბილ ნანას მომღერალი იყო ქართველი დედა...

მოდით და ასეთ ქალს, ასეთ დედას, ნუ სცემთ  
 პატივს! მოდით და ასეთ ადამიანს ნუ გაითანასწო-  
 რებ, ნუ ჩააბარებ მას ოჯახის მესვეურობას, ნუ  
 გამოუცხადებ მას მთელ ნდობას და სიყვარულს! .

და მართლაც ქართული ოჯახი მთელ თვის  
 ნივთიერ თუ ზნეობრივ სიმძიმით ქართველ ქალის  
 მოხდენილ და თან მძლე-ლონიერ კისერზე იყო და-  
 წოლილი. ჩვენი მამა-კაცი ბრძოლის ველზე აღ-  
 მებდა და ათენებდა! ის იშვიათი სტუმარი იყო თა-

ვის ოჯახში! მაშასადამე ოჯახს ჰმართავდა და უძღვებოდა ქართველი ქალი!

ეს ქართველი ქალი ხშირად ბრძოლის ველზედაც გაიკრებოდა ხოლმე და ვაჟ-კაცებს აქაც ტოლს არ უგდებდა! რავდენია ამის მაგალითები ჩვენს ისტორიაში!...

მაგრამ რო უფრო ცხადად წარმოვიდგინოთ ნიჭი და უნარი ქართველი ქალისა, ის ყოველგვარი სიმაღლე, რომელსაც მან მიაღწია ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში, საკმარისია მოვიგონოთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში გაერთიანებულ, მთელ თვის კულტურულ-ძალ-ლონით შემოკრებილ, საქართველოს ტახტზე ავიდა ქართველი ქალი — „ლვთისა დარი“ მეფე თამარი!

აბა მიმოვიხედოთ და ვსცნათ ბურუსით მოცულ საშვალო საუკუნეებში რომელ ევროპიელ ერს ჰყავანდა უზენაეს გამგეთ, — ქვეყნის მომვლელ-პატრონად, დედა-კაცი?! არც ერთს! ჩვენ-კი! ამიტომ წმ. თამარი არის ქართველ ქალის დიდება, დაუკნობელი გვირგვინი მისი! თამარის სახე არის ის ზნეობრივი სუფთა — კრიალა სარკე, რომელში-დაც ქართველი ქალი ხშირად-ხშირად უნდა იხედებოდეს ხოლმე და რწმუნდებოდეს თვის სახის უფერ-მარილო მშვენიერებაში! მაშ თაყვანი ეცით, ასულნო ივერიისანნო, წმ. თამარს და ჰბაძევდით მას...

ბევრ მოწამე დედათა ცხოვრება წამიკითხავს სხვა ქრისტიანულ ერთა ძველ და ახალ ისტორიიდან, მაგრამ არც ერთს არ აღუძრავს ჩემში ის

ცხოველი გრძნობები, არც ერთს არ დაუტოვებია ჩემში ის აღმოუფხვრელი ზნეობრივი შთაბეჭდილებანი, რომელნიც განვიცადე და დამრჩა კახეთის დედოფლის ქეთევა-წამებულის ისტორიით! იმედია, მკიოთხველი ამ სიტყვებს „მუავე მამული შვილობაში“ არ ჩამომართმევს. ასეთ მკიოთხველთ მე მიუთითებ თუ გინდ იმ გარემოებაზე, რომ ქეთევან-წამებულის ნაწილები,—მისი ნეშტი, კათოლიკეთა მისიონერებმა დიდის სასოფტით წაასვენეს სპარსეთიდან და დღეს—ეს ჩვენთვის განსაკუთრებით სათაყვანებელი ნაწილები,—ასვენია ომისაგან აოხრებულ-განაწამებ პატარა ბელგიაში!

ხსენებული მისიონერები შახ-აბაზის კარზე იყვნენ იმ დროს და თვით მოწამენი გახდნენ იმ სულიერ სიმტკიცისა, იმ შეურყეველ რწმენისა სჯულისა და მამულისადმი, რომელიც ქართველმა ბანოვანმა ქალმა გამოიჩინა გააფორებულ მტარვალთან ბრძოლაში და საკუთარი სისხლით აღბეჭდა თვისი უმანკოება! დიდი ტრაგედიაა ქეთევან-წამებულის ღვაწლი, გარნა ამ ტრაგედიას ჩვენი დრამატურგები ჯერ კიდევ ვერ მისწვდნენ, ისინი პატარ-პატარა უმნიშვნელო რამ საგნებზე ახურდავებენ თავიანთ ნიჭეს...

ღრმად ჩაგვახედეს ჩვენ წინაპარ-დედათა გულში უკვდავ მგოსნებმა ილიამ და აკაკიმ. ილიას „დედა ლეშვილი“, გარნა, აკაკის „ქართველი დედა“, ესენი ჩვენ მანდილოსანთათვის, ყოველ დღიურ ლოცვის შემდეგ, სავალდებულო საკითხავად უნდა იქმნენ მიჩნეული...

ასეთი იყვნენ ჩვენი დედები! მაგრამ ჩვენი ერის ისტორიულ ჩარხის უკუღმართ ტრიალმა ჩამოართვა მას თაოსნობა თვის ცხოვრების მართვა-გამგეობისა და მას შემდეგ ყველაფერმა იცვალა ჩვენში ფერი. გარნა საოცრად იცვალა ხასიათი ქართველმა ქალ-მაც!

რა არის დღეს ქართველი ქალი, რას წარმოა-დგენს ის შინ თუ გარედ,—ეს ყველამ ვიცით. მაგრამ მაინც მოვაგონებთ მკითხველთ ჩვენი ბაირონის ნიკო ბარათაშვილის სიტყვებს ძველ და ახალ დე-დებზე:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,  
 კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო?  
 რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ  
 სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!  
 ვინდა ჰყავს გულის შემატკივარი  
 მამულს ასული, ახლა თქვენ გვარი?  
 ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ  
 გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!  
 ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,  
 ოლონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ გულს;  
 რის ქართველობა, რა ქართველობა,  
 ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა“.

ასე მოსთქვამს მგოსანი და აფრქვევს ცრემლებს სამშობლოს ნანგრევებზე... მაგრამ აჩრდილივით თან დასდევს მას იმედი ჩვენი ერის გამოღვი-ძებისა და განახლებისა. ამ იმედს ამყარებს მგოსა-

ნი ევროპიულ ცივილიზაციის ჩვენს ქვეყანაშიც გადმონერვაზე. ის ესაუბრება ერეკლე მეფის საფლავს და ამბობს: „უამთა ვითარებით გარდახვეწილო შენ შვილთ მიღამო, მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო... მუნიც ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად, მხურვალე ცის ქვეშ მოსამკალად ერთი ათასად“.

მართლაც ევროპიულ განათლებას მძლავრად დაეწაფა ჩვენი ახალთაობა. ქალი თუ ვაურ ყველანი მიისწრაფიან აღიჭურვონ თანამედროვე მეცნიერების და სწავლის იარაღით. ასეთ მისწრაფებაში უკანასკნელ ხანებში ვაჟებს არც ჩვენი ქალები ჩამორჩენ. რუსეთის უმაღლეს ქალთა კურსებზე პეტროგრადში, მოსკოვში, კიევში თუ თვით ტფილისში, აგრედვე საზღვარ გარედაც, კაი ძალი ქართველი ქალიშვილები სწავლობენ და სცდილობენ ცხოვრებას მომზადებულნი შეებრძოლონ. მრავლად მოგვეპოვებიან ახლა განათლებული ქალები—კურსისტკები, მასწავლებელნი, კბილის ექიმები, ისე ექიმებიც, იურისტკებიც კი, ტელეფონისტკები, კასსირები, რემინგტონისტკები ხომ ბლომად არიან.

მაგრამ ყველა ესენი ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას არსებითად ვერასა ჰსძენენ, არცა სჩანს რაიმე სასიკეთო, თვალსაჩინო გავლენა მათი ჩვენი ერის განახლება-აღორძინებაზე. ეს იმიტომ, რომ ამათში ოჯახისათვის მომზადებულნი, ძალიან ნაკლებად მოიპოვებიან. ამათ ახალი რამ თითქოს შეუძენიათ, მაგრამ ამ „შეძენაში“ ძველი, კულტურულად ნაცალი, ტრადიციები უკუ-უგდიათ!..

ამ მხრივ დიდი დაქვეითება ეტყობა ჩვენს საზოგადოებრივობას. ჩვენი ქალები (და სამწუხაროდ არა მხოლოდ ქალები) ითვისებენ უფრო გარეგან სახეს ევროპიულ განათლებისას და კულტურისას. შეძენა იმას ჰქვია, როდესაც რაცა გაქვს იმას სასიკეთო რამეს შეჰმატებ! თორემ, მიგალითად, ევროპიული ენები შეისწავლოდა მშობლიური დაივიწყო, ეს ვერაფერი შეძენაა, მეტი რო არა ვსთქვათ!..

ჩვენი ქალებიც იცვამ-იხურავენ ისე, როგორც ევროპიელნი—უკანასკნელ მოდის მიხედვით. ამისათვის ისინი ხშირად არც კი დაგიდევენ შესძლებს თუ არა ქართველ კაცის მჭლე ჯიბე ამ მოდების მიყოლას,—„ოლონდ კი აამონ საკუთარ გულს“. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ (და ახლაც ხშირია ასეთი მოვლენები), რაც ჩვენ თავად-აზნაურთა მეუღლენი და ქალიშვილები ერთ „ბალზე“ გასასვლელ ტანთ-საცმელის შესაკერად აგირავებდნენ და შემდეგ სულ ხელიდან ეცლებოდათ მამა-პაპეული, მასაზრდოებელი, სისხლით გაპოხილი და გმირთა ძვლებით მოკენჭილი, მიწა-წყალი,—საოცარი სილამაზით მორთულ მოკაზმული, მომხიბლავად მობიბინე ვენახ-ბალი-ზერები და მწვანედ ატეხილი ტყე-ჭალა-კები! ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა დაუბნელდეს ადამიანს საცნობელი, როგორ გამსუნავებული უნდა იყოს ის, რომ ყოველივე ეს „ჭინჭუში“ გასცვალოს ან ნარდ-კარტ-ლოთობაში გადაჭყაროს! მაგრამ... ეს ჩვენში ფაქტია, ცოცხალი ფაქტი! მაში, დროა თვალებზე ხელი მოვისვათ!

ენა ხომ ლამის არის სულ გამოიდევნოს ჩვენი ინტელიგენციის, თავად-აზნაურთა და, წარმოიდგინეთ, თვით ქართველ სამღვდელოთა (უფრო ქალაქიდ) ოჯახთაგანაც-კი! საქალებო გიმნაზია ზავედენიებში თვით არ არის ქართულის სწავლება და თუ ზოგან არის, იქაც მთელ კლასში ერთი თუ ორი ქართველი ქალი აცხადებს სურვილს ქართულის სწავლისას. ასეთივე სურათია ვაჟთა სასწავლებლებშიდაც. ამაზე არა ერთხელ ატეხილა განგაში ჩვენს პრესსაში, მაგრამ ისევ მალე ჩამცხრალა, როგორც ეს ზნედ დაგვჩემდა ჩვენ ყოველივე საქმეში.

ქართულ ენის ასეთ უპატივცემულობის მიზეზი, გარეშე პირობებთა გარდა, უმთავრესად უნდა ვეძიოთ ქართველ დედის დაუდევრობა—უყურადღებობაში მშობლიურ ენისადმი. ერთხელ ერთ ქართველ მღვდლის ოჯახში გახლდით სტუმრად. ფოსტალიონმა ლია ბარათი შემოიტანა. მღვდლის ქალი, გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფე, სწერდა დედას ბარათს სოფლიდგან, სადაც ორი დღის წინად გაეგზავნათ ის ნათესავებში. ქართველი ქალი-შვილი ქართველ დედას სწერდა ბარათს ასე: „დოროგაია მამოჩა! პრიეხალა ბლაგოპოლუჩნო, ვსტრეტილი რადუშნო, ობნიმაიუ ტებია კრეპკო, ტვოია სონია“! რო გავიკვირვე ასეთი, კორესპონდენციები“, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქალი-შვილს ქართული წერა-კითხვა თურმე „არ ეხერხება“! — „დედა ენაცვალოს,—ისე სუფთად სწერს და ლაპარაკობს რუსუ-

ლად, რო ვერც-კი შეამჩნევთ თუ ქართველიაო!“ ბრძანა „ფოფოლიამ“! ან არა დღი „დიდ-კაცობაში“ გან-  
გებ არა სწავლიან დედები ბავშებს ქართულს: რად უნ-  
დათ, რაში გამოადგებათ, მაინც მოესწრებიან, ახლა  
უცხო ენები უნდა შეისწავლონ, თორემ სასწავლე-  
ბელში ვეღარ ისწავლიან, გაუჭირდებათ და დაი-  
ტანჯებიანო!.. ამას მამაკაცებიც კვერს უკრავენ  
და... მიდის ასე ჩვენი უფერული, ყველასგნით აბუ-  
ჩად აგდებული ცხოვრება. განა სანამდის მიგვიყვანს  
ასეთი სიბეცე, ამას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირ-  
დება. ბრალი-კი ამისი უმთავრესად, ჩემის აზრით,  
ისევ ქართველ აწინდელ დედებს ედებათ.

ასეთია ეროვნული სახე ჩვენი დროის განა-  
თლებულ ქართველ ქალისა! რალას წარმოადგენს  
ის სარწმუნოების მხრივ! — როგორც ზემოდაც  
გვქონდა ნათქვამი, ქართველ ქალის უმთავრეს სამ-  
კაულს ძველად სარწმუნოება შეადგენდა. ახლა კი  
ამ მხრივ ქართველი ოჯახი და მასში მისი მესვე-  
ური—დიასახლისი — სამწუხარო სურათს წარმოა-  
დგენს. ისპობა ჩვენს ოჯახებში უკანასკნელი კვა-  
ლი სარწმუნოების საღ ტრადიციებისა, ცრუ-მორ-  
წმუნოება კი ვითარდება. ტყვილა კი არ არის  
ნათქვამი: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეც-  
ხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“! ჩვენში ძნელი გამო-  
სარკვევი იყო საღ თავდებოდა ეროვნული სულის  
კვეთება და საღ ინთებოდა სარწმუნოებრივი ცეცხლი  
ჩვენი ხალხისა,—ისე მჭიდროდ ჩახლართულ-ჩაქსო-  
ვილნი იყვნენ ესენი ერთი მეორეში! ამიტომ ენის

„წახდენამ“, ერის დაცემა გამოიწვია, გარნა ერის დაცემამ სანამდის მიიყვანა ჩვენი „ტაძრები“ ამას ყველანი ვხედავთ!

ჩვენს ახალ მოზარდ მოწაფეებში, ვაჟებსა თუ ქალებში, განურჩევლად, იშვიათად რო, იპოვნოთ პირველ-დაწყებით ლოცვების ქართულად მცოდნენი ეს იმიტომ, რომ ოჯახში არ უსწაველებიათ ბავშვისთვის ეს ლოცვები, ხშირად თვით ბავშვების დედებმაც კი არ იციან ეს ლოცვები ქართულად, სკოლებში კი „ზაკონბოეს“ სულ სლავიანურად ასწავლიან და „ქართულად რაღა საჭიროა“! გარნა უცხო ენაზე ბავშვი კი არა, დიდი, განათლებული კაციც, კი ვერ ახერხებს ლოცვას. ამას თვით პავლე მოციქული მოწმობს ..

ამ მხრივ ჩვენი სოფელი ხო უფრო უბედურ მდგომარეობაშია. ამ შვილიდე წლის წინეთ შემთხვევა მომეცა ჯარში გასაწვევ ქართველ ახალგაზდათა დაფიცებისა. შეკრებილიყვნენ ერთ-ერთ მაზრის მთელი ჯარში გასაწვევი ახალ-გაზრდობა ჩვენი. ფიცს რო მოვრჩით, ჯვარსა და სახარებაზე მთხვევის დროს, ვერც ერთმა პირ-ჯვარი ვერ დაიწარა სწორედ! მე სირცხვილის ალმულმა დამწვა, სხვა დამსწრენი კი... იცინოდენ...

რა არის ეს თუ არ ცოცხლად სიკვდილი იმ ჯარის კაცთა დედებისა?!.. მე არას ვამბობ მათ სულიერ „მამებზე“ და „მოძღვრებზე“! ვიტყვი მხოლოდ ჭალადიდელის უკვდავ სიტყვებით: „თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების აშენე-

ბისთვის ყოველი შრომა დაკარგულია! — ჩვენში „საძირკველი“ შერყეულია და **მაშენებლებიც აღარ გვივარგანან.**

ცხადია რომ, ჩვენ ერს გაუჩნდა დიდი მტერი, ულმობელი და გულ-ქვა, — ეს მტერია ურწმუნოება. ურწმუნოების მთესველი ჩვენში ბევრია დღეს, გარნა სარწმუნოების დამცველი, მომვლელ-განმტკიცებელი, ხალხის ოჯახურ — საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი გამატარებელი, ძლიერ ცოტა, თუ სულ არა! ...

ამ მხრივ ძლიერ ვკოჭლობთ ქართველი სამღვდელოება, რომელმაც ჩვენი სამსახური ლამის არის პროფესიად გადავაქციოთ და მხოლოდ რელიგიურ წესების, ისიც ულაზათოდ, ასრულებაში დავსახოთ ის! ვშიშობ, ხო არ უახლოვდებით ჩვენ, — მღვდლები, — ქრისტე მაცხოვრის დროის „სადდუკეველებს“, რომელთა ბელადი იყო „კაიაფა“, ძე ლვთისა იესოს უმთავრესი ბრალმდებელი?! აღარას ვამბობ „ფარისევლებზე“! ...

ამ მხრივ, მაშასადამე, ძლიერ კოჭლობს სამღვდელოება, დაძაბუნებულია სკოლა, გავერანების გზაზე ადგია თვით ქართული ოჯახი, რომლის სათავეში დგას აწინდელი „ქართველი დედა“, სარწმუნოების მხრივ ძლიერ უვიცი, განუვითარებელი და საშინლად დაუდევარიც ...

ძნელია ურწმუნო ადამიანის მდგომარეობა, მით უმეტეს მთელი ერისა! ის თითქოს ფეხ ქვეშ ნიადაგ გამოცლილ არსებას ემსგავსება! იმისი სული

და გული მხოლოდ ნელ-თბილია, ზოგჯერ-კი ძლიერ ცივიც, ყინულივით გათოშილი... ასეთი კაცი უბე-დურია, ქალი-კი ამასთანავე საზიზღარიც! ქალი, როგორც ნაზი, მგრძნობიარე არსება, უნდა იყოს კურჭელი ყოველივე სიკეთისა და სათნოებისა, გარნა ყველა სათნოებათა და სიკეთეთა სათავანია სარწმუნოება, სასოება და სიყვარული ღვთისადმი. ვაჟ-კაცს, რა გინდ ურწმუნო იყოს ის,— მეულლე მაინც მორწმუნე, მორცხვი, თავდაჭერილი და სათნოებიანი სურს! ეს ჩემი ყურით მომისმენია თანამედროვე ჩვენ „ურწმუნოთაგან“, — მატერიალისტებისაგან, და იმაშია სწორედ მათი „ურწმუნოების“ ტრაგიზმი! ურწმუნო და აღვირ ახსნილ ქალებს გაურბიან მამა-კაცები, ეშინიათ მათთან შეუღლება...

ვიმეორებ ჩვენ ძლიერ ცალ-მხრივად ვითვისებთ თანამედროვე კულტურას. ერთ უკიდურესობიდგან მეორეში ვვარდებით და ვერ შევქმენით ისეთი საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც უნდა იყოს მრავალ ფეროვანი და მრავალ-შინაარსიანი. როდესაც რაიმეს ვსესხულობთ და ვიძენთ გარეშეთაგან, ჩვენი ნაცადი და კარგი ლირსება-თვისებები როდი უნდა უკუვაგდოთ! ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, ყველაფერი თავის დროზე კარგი და გამოსადექია! მაგალითად თანამედროვე კულტურის შეთვისებამ ჩვენში ლამის არის სულ ერთიანად დაჩრდილოს და შეაყენოს სარწმუნოებრივ-ეკლესიური განვითარება - წარმა-

ტება. ამაზე ჩვენში იშვიათად რომ ვინმე ზრუნავდეს და ჰყიქრობდეს. ამიტომ ეს დარგი ჩვენ ეროვნულ-ისტორიულ ცხოვრებისა ძლიერ დაკნინდა, დამახინჯდა და, თუ კიდევ ერთხანს ასე გასტანა, სულ მოდუნდება, უფრო გაიხრწნება, მოსპობით კი არ მოისპობა, იმიტომ რომ უკულტოდ ადამიანი, სანამ ადამიანად იქნება ის, ვერ იცხოვრებს. და სჯობია, რომ ეს სარწმუნოებრივი კულტი გვქონდეს სუფთა, ამაღლებული, სულის და გულის დამატებობელი, ეროვნულ ძალთა მოსაზრდოებელი და არა სიბნელის და ბოროტების მომფენი.

სხვა ქვეყნებში პარტიებიც არიან, განათლება ძირ-გადგმული, ცოდნა-მეცნიერება შესანიშნავი, მეტი სიმდიდრე, მეტი სიამოვნება, ათასგარი ხელოვნება, აურაცხელი გასართობები,—მაგრამ იმავ დროს სულიერი მხარეც ადამიანის არსებისა პპოულობს იქ შესაფერ საზრდოს. გული გაგინათლდება, როდესაც ვხედავ მშვენივრად მორთულ-მოწყობილ ტაძარ-ეკლესია-მონასტრებს, მათში გაჩაღებულ ლაზათიან ლვთივ მსახურებას, მშვენივრად დაყენებულ გალობას, — სასულიერო მწიგნობრობას, ლვთის მეტყველურ—ფილოსოფიურ ლიტერატურას, რომელსაც თავის მკითხველებიც ჰყვანან და თავისი ქურუმნიც.

ჩვენში კი ყრაველივე ესე დაეცა, რაც გვქონდა ქველთაგან დატოვებული იმაზე გავიყინეთ, ბიჯი ვეღარ გადავდგით წინ, ხოლო ეს ძველებიც მუზეუმებში გვიწყვია, წაკითხვაც კი არ ვიცით მათი!—

ეს კი დიდი ნაკლია ჩვენი ცხოვრებისა და დროზე უნდა ეშველოს ამას. არ გვყვანან ამ დარგში ბეჭითი მომუშავენი, თავდადებულნი მუშაკნი. ჩვენი ტაძარ-მონასტრები თავზე გვენგრევა, ზოგიც სხვათა ხელში გადადის და გვეკარგება. ჩვენს სამრევლო ეკლესიებში სოფლად თუ ქალაქად წირვა-ლოცვა სრულდება მეტის-მეტად დაუდევრად, უსასოთ და უშნოდ. ვინდა იცის ჩვენში ტიბიკონი! გალობა ხომ სულ ხელიდან გამოგვეცალა! თვით აღარ არის ჩვენს ეკლესიებში დღეს გალობა და თუ საღმე კიდევ გალობენ ქართულად,—ეს ისეთ წარყვნილ, არეულ-დარეულ კილოთი, რომ ყურთა სმენა აღარ არის ასეთ მგალობელთაგან და ესენი სასოების ნაცვლად იწვევენ მორწმუნეთა შორის სამართლიან საყვედურს და გულის წყრომას.

დაეცნენ, ლამის არის სულ ჩამოინგრენ ჩვენი სახელოვანი ტაძარ-მონასტრები,—საუკეთესო ნიმუში ქართულ ხუროთ-მოძღვრებისა! სხვაზედ არას ვიტყვი, ვიტყვი მხოლოდ მცხეთის დიდებულ ათ-თორმეტ მოციქულთა სახელობის ტაძარზე! საცაა ჩამოინგრევა ის, ისევ წვეთი ჩამოდის სახურავში, ფანჯრები ვერ ჩაუსვამთ, რომ მტრედის და სხვა ფრინველთა ბუდედ არ გადაქცეულიყო ეს ჩვენი სიწმინდე, სადაც პირველად დაირწა ჩვენი სარწმუნოების აკვანი, სადაც არაგვის მტკვართან შესართავში გვეგულება ქართველ ერის ოორდანე! მერე?! ვინ იცხელებს მისთვის თავს?! სწერეს ბევრი, ბევრი „რეჩები“ და დაპირებანი მოვისმინეთ იქ, მაგრამ საქ-

264  
4  
11

მედ არც ერთი არ ქცეულა და არც იქცევა! თუ თვით ქართველი ერი არ იტვირთებს თვის სიწმინდის მოვლა-პატრონობას, სხვას რა ესაქმება?!.. ერთი ნანგრევი ეკლესიით მეტი იქნება საქართველოში, სხვა არაფერი! ამას წინეთ ქართული თეატრი იმ-სხვერპლა ცეცხლმა. ეს უსათუოდ დიდი ეროვნული ზარალი და უბედურებაა ჩვენთვის. მაგრამ საზოგა-დოება გამოეხმაურა ამ უბედურებას. თუმცა ნელა, მაგრამ თეატრის ასაშენებლად იღვწვიან, ფულს აგროვებენ და ღვთის მაღლით მაღლე ავაშენებთ კი-დეც უკეთეს თეატრს. საჭიროა თეატრი! დიადია მისი აღმზრდელ-განმაფაქიზებელი მნიშვნელობა! მაგრამ ის მცხეთის დიდებულ ტაძრის მაგიერობას ვერ გვიზამს! გარნა მცხეთის ტაძრისათვის ვინმე იღებს ან ხმას, ან კრინტს, ან ერთ გროშს?! აი სწორედ ამაზე გვითითებენ გარეშენი,—„არ უნდათ ქართველებს სარწმუნოება-ეკლესიაო“! ნუ თუ ეს მართალია?! თუ ეს მართალია, — გვაცნობეთ, ბა-ტონებო, და ჩვენც შეიძლება... თეატრში მოვიდეთ, ეკლესიების კარებს გამოვყეტავთ! ჩვენც ქართველ მანდილოსნებთან ახალ კლუბში ლოტოს ვითამა-შებთ! საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი! თითქოს ერთი მეორეს უშლიდეს! სხვაგან კი არ უშლის! ჩვენში კვირა-უქმეზე საყდრები ცარიელია, კლუბები კი ყოველ დღე სავსეა!..

იქვე მცხეთის ტაძრის ახლოს ჩვენს ყურადღე-ბას იწვევს მცხეთის სამთავრო დედათა სავანე, წმ. ნინოს „მაყვლოვან ბუჩქთან“ არსებული, სადაც

გვისვენია ქართველობას ჩვენი პირველი ქრისტიანე მეფე წმ. მირიანი და მეუღლე მისი ნანა. მაღლობა ღმერთს, რომ ეს სავანე მაინც შეგვრჩა! ამას უნდა უმაღლოდეთ ნეტარხსენებულ იღუმენია ნინოს (ამილახვარს), რომელმაც ფასდაუდებელი, მოციქულებრივი, დედობრივი ღვაწლი დასდო ამ ჩვენს წმიდათა-წმიდის მოწესრიგებას და ალდგენა-გამშვენებას.

ერთი ასეთი ადამიანი ქიზიყ-კახეთის მხარეშიც გამოჩენილიყო, დღეს წმ. ნინოს განსასვენებელი სავანეც ჩვენს ხელში იქნებოდა და ქართველი ადამიანი სტუმრად როდილა იგრძნობდა იქ თავს!..

ახალ კურს დამთავრებული ერის კაცი ვიყავი, როდესაც პირველად ღირსი გავხდი იღუმენია ნინოს ხელშე მთხვევისა. ეს იყო 1899 წ. ზაფხულში. არასოდეს არ დამავიწყდება მისი წმინდანისებური სახის გამომეტყველება, დედობრივი მოფერება და დარიგება, რომელიც მე მან გადმომცა.

დედა იღუმენია ნინოს ღვაწლი სწორედ საგულისხმოა ჩვენ ქართველ მანდილოსანთათვის. ბანვანმა ადამიანმა, რომელსაც ეს ქვეყანა ია-ვარდით ფიანდაზად ეფინებოდა წინ,—დაჰმო, უარყო სიამენი ამა სოფლისანი და მთელი თვისი სიცოცხლე ამ საშვილიშვილო საქმეს შესწირა და ანაცვალა. ეს ნამდვილი „მენელ-საცხებელე“ დედა იყო! ასეთი მენელ-საცხებელნი საქართველოს ეკკლესიისათვის უნდა გახდნენ ჩვენი ქალები, ისინიც უნდა მსახუ-

რებლნენ ჩვენს გაპარტახებულ ეკულესიებს „ნაყოფ-თაგან თვისთა“.

იზრუნონ არა მხოლოდ თავიანთ ჩაცმა-დახურვა-კოხტაობაზე, არამედ საქვეყნო საქმისათვისაც, ექმნენ ჩვენს ოჯახს ქრისტეს სარწმუნოების და ზნეობის ბურჯად, აღზარდონ ახალ-თაობა ნაცად სარწმუნოებაში და მამული შვილობაში,—დარაჯად დაუდგენ ქმრებს, რომ მათ ჩვენი მიწა-წყალი სხვებს ხელში არ ჩაუგდონ და თუ ამის გარდა ახალ კულტურულ სარბიელზედაც გვასახელებენ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ჩვენი ლოცვა-კურთხევა უძლოდეთ წინ.

### დეკანზი ნიკიტა თალაქვაძე.

1915 წ. აპრილის 27, ანჩის-ზატი.

---

# † იღუმენია ნინო

(სოფლად კნ. ანნა ამილახვრისა)

1816—1995

## ნეკროლოგი

იღუმენია ნინო (სოფლად კნიაუნა ანნა ამილახვრისა) დაიბადა 26 იანვარს 1816 წელს, გორის მაზრაში, სოფელ საამილახვრო ჭალაში. მშობლები მალე დაეხოცნენ და მისი აღზრდა იკისრა მამის დამან, მონაზონმა ნინო ამილახვრისამ, წინამძღვარმა მცხეთის სამთავრო წმინდის ნინოს დედათა მონასტრისამ. აი ამან წამოიყვანა ობოლი კნიაუნა ანნა და აღზარდა მონასტრულის წესით საღმთო წერილის სწავლაში. მამიდა ამისი, წინამძღვარი ნინო ამილახვრისა, გარდაიცვალა 11 თებერვალს 1839 წ., მაგრამ კნიაუნა ანნა არ განეშორა მცხეთის დედათა მონასტერს. აქ თავის ხარჯით სცხოვრებდა, ასწავლიდა მონაზნებს სამღვთო წერილს და ხელ-საქმეს; მონაზონებმაც ძალიან შეიყვარეს, რადგან იგი იყო მათი დამრიგებელი და ხელმძღვანელი ჭირში და ლხინში, მაგალითი კუთილმსახურებისა, სიმშვიდისა და გამწვრთნელ-გან-

მანათლებელი მათი გონებისა. შემდგომ დიდის ხნის ცხოვრებისა მცხეთის მონასტერში მიტროპოლიტის ისიდორეს განკარგულებით არხიმანდრიტის ტარასისაგან, 19 ივნისს 1855 წ., აღკვეცილ იქმნა მონაზონად და სახელიდ ეწოდა ნინო (მამიდის სახელი).


5-ს ოქტომბერს 1863 წ. მიენდო გამგებლობა მონასტრისა.

იმ დროს მონასტერი და ეკლესია ძალიან ღარიბად იყო და საჭიროც იყო მათი შეკეთება. იღუმენია ნინომ, იტვირთა რა გამგებელობა მონასტრის, მაშინვე იწყო ზრუნვა ეკლესისა და მონასტრის შენობის განწესიერებისათვის, ამიტომ იმავე წელს ექსარხოსს გამოსთხოვა ნება, რომ მოეთხოვნა შემწეობა კეთილ-მომქმედ ქრისტიანეთაგან.

იღუმენიამ მოვლო მთელი თბილისი, კავკავი, მოზდოკი, პიატიგორისკი და მისი მახლობელი აღგილები. აგრეთვე ახალციხე და აბასთუმანი, შეკრიბა საკმაო ფული, გაამშვენიერა მონასტერი და ეკკლესიას მოუპოვა საეკკლესიო და სამღვდელო ნივთები. ამისთანა ღვაწლისათვის 2 ოქტომბერს 1865 წ. ექსარხოსის ევსევისაგან აღყვანილ იქმნა იღუმენის ხარისხზედ სამთავროს წმინდის ნინოს მონასტრის ეკკლესიაში.

1865 წლიდამ უფრო თვალ-საჩინოა მისი მოქმედება და ღვაწლი:

1866 წელს 29 მარტს მონასტერში გაიმართა დედათა სასწავლებელი: იღუმენია ნინო იყო სკო-



Հայոց կենացքի և Սամազերթ Օսկարո—(Ցանկալյանց օլովքին հօնած ճռու.)


ლის მმართველი და პირველი წევრი რჩევისა. მის ზრუნვას, შრომას საზღვარი არა ჰქონდა.

12 ენკენისთვეს 1879 წ. განაახლა ეკკლესია წმინდა ნინოსი, ქართველთა განმანათლებელისა და ოლუმენი კარის ბჭე, გადახურა იგი თუნუქით თავისის საკუთარის შრომითა და საკუთარის წარსაცემითა. ოთხმოცდა ათი თუმანი ხალხში შეკრიბა და სამოცი თუმანი თავისი საკუთარი დახარჯა ამ საქმის გამო. 20 აპრილს 1880 წელს უმაღლესის ბრძანებით დაჯილდოვებულ იქმნა ძვირფასის თვლებით მოჭედილის კაბინეტის ჯვრითა.

1883 წ. 23 იანვარს უწმინდესის სინოდის კანტორის მონდობილობით განაახლა დედათა მონასტრის ეკკლესიის გუმბათი და მთლად ეკკლესია გადახურა თუნუქითა და ეს მინდობილობა სამაგალითოდ შეასრულა. ილუმენია ნინო უკანასკნელის ომიანობის დროს უგზავნიდა შესაწირავს ფულით დაჭრილ მხედართათვის, რისთვისაც 21 დეკემბერს 1883 წ. დაჯილდოვებულ იქმნა წითელის ჯვრითა.

1884 წ. დედათა მონასტრის ეკკლესიას აღმოსავლეთის მხრივ კედლების ქვები გამოუცვალა. ერთის სიტყვით, ისე უვლიდა და ხელს უწყობდა ძველს ნაშთს ჩვენის წარსულის ცხოვრებისას, როგორც ქალი თავისს მოხუცს და მოუძლურებულს დედასა.

სასწავლებელს, რომელიც დაარსდა 1880 წ. ქალაქ თბილისში, ეხლა ეწოდება საეპარქიო სასწავლებელი. გადატანის შემდეგ ილუმენია ნინო



ეკკლესია წ'ა ნინოსი, აშენებული იღუმენია ნინოს მიერ.

(ამ ეკკლესიაში დაკრძალულია იღუმენია ნინო)

იმის ზრუნვაში იყო, რომ კიდევ როგორმე და-  
ეარსებინა დედათა მონასტერთან დედათავე სკო-  
ლა. 1888 წელს ექსარხოსის პალლადის ნება დარ-

თვით წავიდა რუსეთს ფულის მოსათხოვნელად, რომ ეკკლესიაც შეეკეთებინა და თავისი საყვარელი აზრი—სკოლის კვალიად აღდგენა მცხეთაში —განეხორციელებინა. ლრმად მოხუცებული იღუმენია ნინო არ დრკება, არ ეშინიან შორს მოგზაურობისა: მიღის რუსეთში 5 ივლისს 1888 წ. მოვლო თხოვნით რამდენიმე ქალაქი, მივიდა მოსკოვის მიტროპოლიტი იოანნიკესთან, საქართველოს ექსარხოსად ნამყოფთან. იყო პეტროგრადშიაც. მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ შესწირა ამ კეთილს საქმეს 5,000 მანეთი, სხვათაგან მოაგროვა 2000 მანეთი და საეკლესიო და სამღვდელო ნივთები. აი ამ ნივთებით და შვიდასის თუმნით მოხუცი თვე-განწირული იღული იღუმენია ნინო მოიქცა თავის სამშობლოში და შეუდგა სკოლის დაარსების საქმეს...

აზრი მაღლე შეუსრულდა: 1889 წელს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოს. მა პალლადიმ ინგბა დაარსება დედათა სასწავლებლისა მონასტერში და განმზადება სკოლისა მიანდო იღუმენია ნინოს; მან თვისის შრომით შეგროვილის ფულით განამზადა ყოველისფერი, სუფთად და ლამაზად შეამზადა ოთახები, საწოლები ქალთათვის და 1-ს ოქტომბერს 1889 წელს თვით ექსარხოსმა პალლადიმ აკურთხა სასწავლებელი. ამ კურთხევის დროს გადასცა იღუმენიას დიდი მაღლობა და კურთხევა ასე მშვენივრად მომზადებისათვის სასწავლებლისა. ვისაც მაშინ უნახავს სასწავლებელი და

მზრუნველი და დედაბურჯი ამ სასწავლებლისა იღუმენია ნინო, ყველანი აღტაცებით იხსენიებენ სასწავლებლის მოწყობილობას, სისუფთავეს და წეს-წყობილებას.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ეკლესიის წინა-შე, როგორც შემნახველს და დამცველს სამთავ-როს წმიდა ნინოს ეკულესიისა და ქართველის ქა-ლების წინაშეც, რომელთაგან არა ერთი და ორი აღიზარდა იღუმენია ნინოს კეთილ-მაგალითებითა და ქართველ დედათა შორის პირველი აღგილი უჭირავთ, როგორც რიგიანს აღმზდელებს შვილე-ბისას. იღუმენია ნინო თავისთვის მშვიდად და წყნა-რად მოქმედებდა იმ ასპარეზზედ, რომელიც სიყრ-მითვე გულით და სულით აირჩია. იღუმენია ნი-ნო თვის მოქმედებაში პირნათლად მისდევდა იქსო მაცხოვრის მცნებას: „ისე გაიღე მოწყალება, რომ მარცხენემან შენმან არ იცოდეს, რას შვრება მარ-ჯვენეო“, ე. ი. ნუ იამაყებ შენის კეთილის საქ-მეებითა, ნუ მოჰკვეხამ, მაღლა ნუ იყვირებ, თვით კეთილი საქმე ილაპარაკებს თავისს დროზედ იმა-ზედ, ვინც იგი ჩაიდინა...

1890 წ. 2 ოქტომბერს ქართველმა საზოგა-დოებამ დიდის ამბით აღნიშნა განსვენებულის 25 წლის იუბილე.

ქვეით მოგვყივს უცვლელად ანგარიში ამ დღე-სასწაულისა დაბეჭდილი დიდი ილიას გაზეთ „ივე-რიის“ 1890 წლის 3 ოქტომბრის ნომერში.

## 25 წლის იუგილე

(მცხოვრის დედათა მონასტრის ილუმენია ნინოსი)

„2 ოქტომბერს, როგორც დანიშნული იყო, მცხოვრის დედათა მონასტრში გაიმართა დიდი დღესასწაული ილუმენია ნინოს 25 წლის მოლვაწეობისა. დიდძალი ხალხი დაესწრო ამ დღესასწაულს. თვით ტაროსმა, დილით ცივმა და ქარიანმა, წირვის დროს გამოიბრწყინა და არ შეუშალა ხელი საერთო და საყოველთაო მხიარულებას. ტკბილი ქართული, ქართულის გალობით შემკული, წირვა დაიწყო ათ საათზე. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ბესარიონი, არქიმანდრიტის კესარიონისა და მღვდელ მონაზონის ლეონიდის\*) თანამწირველობით. დიდი ყურადღება მიიქცია ამ წირვაზედ მწყობრად და სასიამოვნოდ მგალობელმა წინამღვდარიანთ სკოლის მოწაფეთა ხორომ. თვით ჯიუტი კრიტიკოსი იმ ნაკლის მეტს ვერას შენიშნავდა, რომ იგი ერთობ პატარა იყო, სულ ხუთი-ექვსის კაცისაგან შემდგარი. წირვის

\*) აწ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი.

შემდეგ მ. ლეონიდმა წარმოსთქვა მგრძნობიერი, ადგილისა და დროის შესაფერი შემდეგი სიტყვა:

სიტყვა არჩიმ. ლეონიდისა,

(აწ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზისა)

ნამეტნავისგან გულისა შირი იტყვის

(მათ 12. 34.)

წრფელითა და მოსიყვარულე გულით მოგილოცავთ, მაღალ ღირსო დედაო იღუმენია, მეტად სამძიმო და საპასუხო თანამდებობაში ოცდა ხუთი წლის სახელოვნად მოღვაწეობას. გულმოღვინეთ ვევედრებით დედასა ლვთისასა თქვენს ამავე მაღალ ხარისხში კიდევ მეტი წარჩინებითა და წარმატებით ორმოცდა ათი წლის სამსახურის მოლოცვის ბედნიერებასთც შეგვასწროს.

ლრმად დარწმუნებული ვართ მეც და ეს თქვენი პატივის მცემლების შემოკრებილი სიმრავლეც, რომ სრულებით თავისუფალი ხართ თავ-მოყვარეობისაგან და დიდად გიმძიმთ თქვენი თავის ქება-დიდების მოსმენა. გვწამს, რომ ამ წაშს თქვენ განიცდით ზნეობრივ წუხილს, ვინაიდგან იძულებული ხდებით მოისმინოთ სამართლიანად დამსახურებული ქებითი აღნიშვნა ძვირფასი სამშობლოს წინაშე თქვენ მიერ გაწეული შრომა-ლვაწლისა. დედობრივი სიყვარულით და სულგრძელებით შეგვინდეთ და გვაპატიეთ, ძვირფასო დედაო იღუმენია, რომ

ვარღვევთ თქვენი გულის მყუდროებას იმ სულის ცხოვრების მძლავრი მოთხოვნილების გამო, რომელსაც მკაფიოდ გამოსთქმენ მოძღვრების დასაწყისში მოყვანილი სიტყვები: ნამეტნავისგან გულისა პირი იტყვის (მათ. 12, 34).

თუ დღევანდლამდე როგორც იყო ვახერხებდით თქვენი ნათელი და პატიოსნებით იღვსილი პიროვნებისადმი მხურვალე სიყვარულისა და წრფელი პატივისცემის გრძნობების გულიდან გარეთ გამოუტანლობას და საქვეყნოთ გამოუთქმელობას, დღეს უამისობა უდ შეუძლებელი ხდება, რადგანაც პირამდე აგვევსო საწყაული გულისა და ზღვა გრძნობა აზვირთებულ ტალღებს ველარ იმაგრებენ გულის კალაპოტები.

ბევრს სხვებსაც შესრულებიათ ოცდა ხუთი წელი მაღალ ხარისხოვანი სამსახურისა, მაგრამ დიდი იშვიათობაა, რომ ასეთი მოვლენა კერძო პირის ცხოვრებიდან საკუთარ დღესასწაულიდ დაესახოს მთელ საზოგადოებას, ასეთ კერძო გარემოებას აღეფრთოვანებინოს, ბედნიერებით აღევსოს, უღრმესი სიყვარულით აენთოს და მოეცვას ისეთი სიმრავლე ერისა, როგორსაც ვხედავთ თქვენს გარეშემო. ყველა ეს პირდაპირი შედევგია იმ ქრისტიანული სიყვარულისა და თანაგრძნობისა, რომლითაც ათბობთ და ხიბლავთ ყველას გულს, ვისაც კი შემთხვევა ეძლევა თქვენთან რაიმე საჭმის გამო შეხვედრა-გაცნობისა.

ამ მხრივ უზომოდ დავალებული და გაბედნიერებული ვარ თქვენგან პირადად მე, თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე: ქ. თბილისში მოსწავლეობის დროს არა ერთ გზის შემომივლია თქვენს მყუდრო სავანეში, როგორც წმინდა ტაძრების და ოდგილების თაყვანისაცემლად, ისე თქვენი სასწავლებლის ყოფილი მოწაფის, ჩემი დის, სანახავად და აი ასეთი შემთხვევების დროს ბევრჯელ მიმილია თქვენგან ნამდვილი დედობრივი დარიგება, ბრძნული ხელმძღვანელობა და ნუგეში. თქვენი გონიერი და გულმტკივნეულობით გამსჭვალული სიტყვები მამხევებლენ სიკეთეზე, მახალისებდღნენ სწავლაზე და შორს მქნიდნენ განსაცდელთაგან, რომლებითაც: სამწუხაროთ, გარემოცულია ხშირად მოსწავლის ცხოვრება. დედობრივი თანაგრძნობით გამთბარი თქვენი დარიგება უსაზღვრო გავლენას ქონულობდა ჩემზე და წმინდა მცნებად მექდეოდა ნორჩი გულის ფიცარზე რასაკვირველია, მე ვერასფრით და ვერას დროს ვერ გადაგიხდით ასეთ ამაგს; გაძლევთ მხოლოდ სიტყვას, რომ სანამ სული მედგმება პირში, დაუციწყარი იქნებით ჩემს გლახა ლოცვებში.

უმახლობელები მოწმები თქვენი დედობრივი მხურვალე ზრუნვისა და საქმიანობისა იყვნენ და არიან ის პირები, რომლებსაც ბედმა არგუნათ თქვენგან დაარსებული სამონასტრო სასწავლებელში აღზრდა.

ლიდება და პატივი თქვენ, მაღალ ლირსო დედაო, რომ ყოველთვის მაღლა გკავებიათ და მაღ-

ლა გიკავიათ დღესაც ალამი ამ სასწავლებლისა! ამდენი ხანია არსებობს ოქვენი სასწავლებელი, და მტერსაც ვერ მიუთითებია მისი პატიოსნებისა და სახელის ოდნავად დამაჩრდილებელ მაგალითზე.

სამსახური მავალებს ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეებში ყოფნას და, ჩემდა სასიამოვნოთ, ბევრგან შემთხვევა მეძლევა გავეცნო ხოლმე თქვენს სასწავლებელში აღზრდილ პირებსა და მათს მოქმედებას საზოგადოებაში. გულის მოთხოვნილებად ვსთვლი საჯაროთ გაგიცხადოთ, რომ თქვენ მიერ დათესილ კეთილ თესლს მეტად კეთილი ნაყოფი გამოულია. თქვენი სავანის ფთების ქვეშ შეფარებულ სასწავლებელში გამოზრდილი პირები სასახელო და სასიქადულო წევრებად არიან ცნობილნი ყველგან მათი დარბაისლური ყოფა-ქცევისა, ოჯახისადმი თავდადებულობისა, საზოგადოებაში სწავლა-განათლების შეტანის ტრფიალისა და ქრისტიანობის განმტკიცებისადმი მიზიდულობის გამოისმით.

ეს პირები გაუქრობელ კანდელებად ბრწყინავენ ღვთის წინაშე თქვენი სულის საოხად, იგინი შეადგენენ თქვენი სახელის დიდებას, მათი აღზრდითაა თქვენგან დავალებული საქართველო და ამ მოზღვავებული საზოგადოების დღევანდელი საერთო აღფრთოვანებაც გამოწვეულია უმთავრესად მით, რომ ასეთი სასახელო წევრებით ასაჩუქრებთ მშობლიო ერს.

უწყებული ბძანდები, სასიქადულო დედა, რომ  
ჩვენი ერის ცხოვრების უმთავრეს ძალას და სიმაგრეს  
შეადგენდა და შეადგენს უტკბილესი იესო ქრის-  
ტეს მოძღვრების აღსარება, რომ ქრისტიანობამ მო-  
გვცა და შეგვინახა დღევანდლამდე საკუთარი ეროვ-  
ნული შემეცნება, ენა და კულტურა, გარნა ქარ-  
თველთა შორის ქრისტეს მოძღვრების განმტკიცე-  
ბის საქმეში დიდი და თვალსაჩინო ალაგი ეჭირათ  
წმ. ნინოს, შუშანიკს, თამარ-მეფეს, ქეთევანს და  
მათ მსგავს უთვალავ დედებს. ჩვენი ერის ისტო-  
რიაში მორწმუნე დედებისაგან გავლებული კვალი  
ერთობ ღრმა და ფართეა. ქართველი ერის ნამდვი-  
ლი მოკეთე და გულშემატკივარი ამ კვალის დავი-  
წყებას კი არ უნდა ფიქრობდეს, პირიქით მუდ-  
მივ საზრუნავ საქმედ დასახული უნდა ჰქონდეს  
ისეთი პირობების შექმნა თვის გარშემო, რომ ჩვენს  
საზოგადოებაში არა მცირდებოდეს ძველი დედე-  
ბის მსგავსი ქრისტიანული მიმართულებით გამსჭვა-  
ლულ-გასხვოსნებული დედათა გუნდი.

ცხადია, ასეთი ნათელი აზრით გიხელმძღვანია,  
ნათლით შემოსილო დედა, რომ ქალთა სასწავლებ-  
ლისათვის აგირჩევია ეს, ქართველი კაცის გულის  
და გონებისათვის ისედაც ყველაფრით საგულისხმო  
ალაგი. აქ, სადაც ყოველი ბუჩქი, ყოველი ლო-  
დი, ყოველი გოჯი მიწისა ნაკურთხია წმ. ნინოს  
ლოცვითა და მოციქულებრივი მოღვაწეობით, სა-  
დაც ქართველმა ერმა მტკვრის ტალღებს გაატანა

თავისი ძველი წარმართული ცხოვრება და იწყო ახა-  
 ლი ქრისტიანობრივი მოქალაქობა, საღაც პირვე-  
 ლად აიმართა წარაპეზი და პირველად შეიწირა  
 უსისხლო მსხვერპლი, ყველაფერი ხელს უწყობს მო-  
 ზარი ქალების გონების განათლება-განსპეტაკებას,  
 ყველაფერი აკავშირებს და აახლოებს მათ გულითა  
 და გონებით წმ. ნინოს ნათელ პიროვნებასთან,  
 ყველაფერი ხმამაღლა და ბრძანებლობით აკისრებს  
 მათ სამშოლოსადმი სიყვარულსა და ერთგულებასა,  
 ყოველი გარემოება უთითებს მათ იცოცხლონ მშობ-  
 ლიო ერის სანუგეშოთ და სასახელოთ.

მართალია, მთავრობამ ინება და თქვენი სას-  
 წავლებელი გადაიტანა ქ. თფილისში საეპარქიო  
 დედათა სასწავლებლის სახელწოდებით, მაგრამ თქვენ  
 ამ გარემოებას ისე შეხედეთ, როგორც მოწიფული  
 ქალიშვილის გათხოვებას, როგორც ფთებით შემო-  
 სილი ბარტყის გაფრენას და პირველი სასწავლებ-  
 ლის ფუძე არ მოგიშლიათ, ქართველი საზოგადოე-  
 ბის სურვილის თანახმად კვლავ აღადგინეთ სასწავ-  
 ლებელი და ეს მაღლით აღვსილი მიდამო ისევ გა-  
 მოაცოცხლეთ პატარა მოსწავლე ქალების საამო  
 ხმაურობით.

გვესმის, დედაო იღუმენია, ესეთი თქვენი საქ-  
 ციელის დიადი ლირებულობა და, ნიშნად უგული-  
 თადესი მაღლობისა, ყველანი ქედს ვიხრით მოწი-  
 წებით თქვენს წინაშე.

სიტყვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო,  
 ქართველთა განმანათლებელო წმიდაო ნინო, გა-

მოუთხოვდე მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან  
 თანამოსახელესა შენსა, სანატრელსა დედას ჩვენსა  
 იღუმენია ნინოს მრავალუამიერობითი სიცოცხლე  
 და ბედნიერობა, მხეობა და სიმთელე შენგან სა-  
 ქართველოში დანერგული ქრისტიანობის სხივების  
 უფართოესად მოსაფენად შენ მიერ ნალვაწერში!  
 ამინ.“

აგერ გათავდა წირვა და სამღვდელონი შემო-  
 სილნი დედა ნინოთითურთ, გაემგზავრენ იღუმე-  
 ნიას სახლისკენ. ამ წამიდან იწყება დიდი საერო  
 დღესასწაული. ყველა, განურჩევლად წოდებისა,  
 ხარისხისა, ჩამომავლობისა, წლოვანებისა, ცდილობს  
 მიიღოს მხურვალე მონაწილეობა და შეძლებისა  
 თვისისამებრ დამშვენოს და მეტი ლაზათი დასდოს  
 დღესასწაულსა. აქ მოისმის მწყობრი გალობა ორის  
 დასისა, იქ დამწკრივებულან დედათა მონასტრის  
 ქალთა სკოლის მოწაფენი ყვავილებითა და თაიგუ-  
 ლებით ხელში, რომელიც უნდა გზა-გზა დაუფი-  
 ნონ თავიანთ დედას, თავიანთ საყვარელს მზრუნ-  
 ველს იღუმენიას; სულ ბოლოს იღუმენიას სახლის  
 კართან, ორ პირად სდგანან თავად-აზნაურნი, წინა-  
 მძლოლნი და სხვა და სხვა წარმომადგენელნი ჩვენის  
 ქვეყნისანი, რათა სცენ პატივი ღირს ნინოს თავიანთ  
 წარმომგზავნელთაგან. დიდძალი ხალხია აქვე თავ-  
 მოყრილი. აგერ თვით მედღესასწაულე ამ დღესას-  
 წაულისა მოუახლოვდა თავის სახლის კარს. აქ შესდგა  
 პროცესია, წარმოსდგა სიღნაღის მაზრის უფროსი,

ბ-ნი ნიკოლოზ იაკინთეს-ძე ალექსი-მესხიშვილი და  
მიჰმართა ილუმენიას შემდეგი სიტყვით.

## ს ი ტ უ პ ა

### ნიკოლოზ იაკინთესძე ალექსი-მესხიშვილისა

„დეიდა ჩემო, ბატონო ილუმენია ნინოვ! ბედ-  
ნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ შევესწარ დღევან-  
დელ დღესა და მომეცა შემთხვევა ამ მცირელის  
საჩუქრით (ძვირფასი ჩაის სამკაული შემოძღვნილი  
ილუმენიას ახლო მონათესავეთაგან) ცოტად მაინც  
გადაგიხადოთ მადლობა იმ შრომისა და ზრუნვისა-  
თვის, რომელიც თქვენ მიიღეთ თითქმის ყოველს  
ჩვენთაგანზედ. თქვენი ამაგი ჩვენზედ დიდია და ვე-  
რაფრით ვერ გადაგიხდით. თუ ვისმეს ჩვენთაგანს  
კარგი რამ სჭირს, თქვენის წყალობით: სიყრმითვე  
დღედალამ ჩაგვჩიჩინებდით, ერიდებოდეთ სიმრუდეს,  
ფლიდობასა და გიყვარდეთ ჭეშმარიტება, სიმართ-  
ლე, პატიოსნება, ჩვენი ერი და მამულიო. იმედი  
გვაქვს, რომ ამ ბავშვებსაც (წარუდგინა თვისი შვი-  
ლები) არ მოაკლებთ თქვენს დარიგებასა და დაა-  
ყენებთ იმ გზასა და კვალზედ, რა გზაზედაც უნდა  
იდგეს ნამდვილი შვილი ჩვენი სამშობლოსი. ეს  
ბავშვები, თუ ღმერთი დღეს მისცემთ, გარდასცემენ  
თავის შვილსა და შვილი-შვილებს დღევანდელის  
დღის ამბავს, უამბობენ, ვინა ბრძანდებოდით ჩვენ-  
თვისა და ერისთვის და ეტყვიან: „ბებია ნინოს შემ-

დეგ ბევრი ნინო დაბადებულია, მაგრამ მისთანა ნინოობას ვერვინ იზამსო“.

შემდეგ თავ. ამილახვართ საგვარეულომ მიართვა ძვირფასი ვერცხლის, ოქროს წყალში დაფერილი ხატი წმიდის ნინოსი. მაგრამ ლუარსაბისძემ ამილახვარმა შემდეგი გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა:

## ს ი ტ ჟ ვ ა

### ტ-დ დ. ლ. ამილახვრისა

„თქვენო მაღალ-ღირსებავ, დედაო იღუმენია ნინო! მე არ ძალმიძს ჩამოვთვალო ყოველნი კეთილნი საქმენი თქვენნი. ვინ არ უწყის, ვინ არ ხედავს დაულალავსა და თავგანწირულსა მოღვაწეობასა თქვენსა; უტყუარი ღვაწლი თქვენი არის უკვე ცნობილი და ჯეროვანად დაჯილდოვებული მთავრობისა და ერისაგან.

მე მსურს ამ ორიოდე სიტყვით გამოვხატო სრულიად სხვა გრძნობა, რომლითაც დღეს აღვსილნი არიან თქვენნი თანამოგვარენი ტ-დნი ამილახვარნი. ღვაწლი თქვენი განათლებისა და ეკკლესიისადმი მოტანილი არს და, რასაკვირველია, ერთნაირად მოჰყენს სხივსა თვისსა სრულიად საქართველოსა და აღავსებს სიხარულითა ყოველის ნამდვილის ქართველის გულსა. ნება გვიბოძეთ, ჩვენ ტ-დთ ამილახვართ, უმეტესად გვექებოდეს თავი, ნება გვიბო-

ძეთ სახელითა თქვენითა, ვითა ბრწყინვალე მარგალიტით, შევაქოთ და დავამშვენოთ გვირგვინი უძველესის საგვარეულოისა ჩვენისა. დიდია და სასახელო ჩვენთვის მოღვაწეობა თქვენი! წარსული და აწმყო თითქმის ყოველი ერისა ჰმოწმობს, რომ მცირედია ერთობ შესაწირავი დედათა სქესისა, საერო და საქვეყნო სალაროში შეტანილი. ამ გვარმა შეხედულობამ, ზოგიერთ ფილოსოფოსთა და მწერალთაგან გაზვიადებულმა, მიაღწია იქამდის, რომ მრავალნი საჯაროდ ჰქადაგობდნენ და ჰქადაგობდნენ დღესაც, ვითომ დედათა სქესს არ ძალუძღეს სამსახური საზოგადო სარბიელზედ, არ შესტკიოდეს ქვეყნისთვის გული. ასეთი აზრი, ყველა დამეთანხმება, ჩემგან არ არის შეთხზული; იგი უმეტეს ჩვენი ქვეყნისა გაისმის სხვაგან, გარნა ყველა აქ შეკრებილთ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს არა ერთსა და ორს მაგალითს დედათა სქესის დიდ სულოვნებისას.

ჩვენი ქვეყანა, ვისაცა გსურთ, ცხადად დაუმტკიცებს, რომ დიდია მოწოდება დედისა და მრავალ ფერი ღვაწლი მისი. წარჩინებულნი და დაუვიწყარნი სახელნი წმიდისა, მოციქულისა სწორისა ნინოსი და მრავალ წამებულის ქეთევანისა ყველას თვალშინ გვიდგა. ეს სარწმუნოების გმირნი. თუ ჩამოვთვლით გმირთა დედათა სქესისას სამოქალაქო ასპარეზზედ, მაშინ თვით ურწმუნო თომაც უნდა დარწმუნდეს, რომ დედათა სქესს, მაღალი მოწოდება აქვს. ხოლო აწინდელი ჩვენი ყოველ მხრივ

დაჩაგრული დრო არ არის მდიდარი საქვეყნო და  
საერო მოღვაწეობით.

გაზვიადებული არ იქნება მოგახსენოთ, რომ  
ერთად ერთი ადამიანი ბრძანდებით, მეტადრე დე-  
დათა სქესში, რომელმაც დასთმეთ ყოველივე სია-  
მენი ქვეყნისანი და შეუდექით ეკლიანსა გზასა ქვე-  
ყნისა და სარწმუნოებისა მსახურებისას. ვითარცა  
განმარტოვებული ტაძარი, უდაბნოსა მდგარი, მოს-  
ხანს სახელი თქვენი, განლილებული და გაბრწყინ-  
ვებული სათნოებითა, კეთილის საქვეყნო თავგან-  
წირულის შრომით. გზა გაკვერილი თქვენ მიერ  
სამაგალითოდ და სანატრელად დარჩება ჩვენთა  
დედათა შორის.

დაუვიწყარი იქნება ღვაწლი თქვენი და ი ეს  
არის კიდეც ის საბუთი, რომელიც გვაძლევს ჩვენ,  
ტი-დთ ამილახვართ, სიამაყეს, გვიმატებს სახელს, თქვე-  
ნით თითქოს ჩვენც ავმაღლდით, თქვენით ჩვენ  
შეგვიძლიან ესთქვათ, რომ:

„გზა ცხოვრებისა ისე არ განვლეთ,  
არ აღვვებეჭდოს ნავალი თქვენი“.

მაში იცოცხლეთ კიდევ მრავალ ჟამიერ სადი-  
დებლად ქვეყნისა და დასამშვენებლად სრულის სა-  
ქართველოისა საზოგადოდ და ჩვენის საგვარეულოსი  
კერძოდ.

შემდეგ წარსდგა გორის მაზრის თავად-აზნაურ-  
თა წინამძღოლი და წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

## ს ი ტ ჟ ვ ა

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა.

„ყოვლად პატიოსანო დედაო ნინო! ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ დღეს მე ვასრულებ გორის მაზრის თავად-აზნაურთა იმისთანა მონდობილებას, რომელსაც მე თანაუგრძნობ. სულითა და გულით მოგილოცამ თქვენს 25 წლის მოღვაწეობის დღესასწაულს და ვსოდოვ ყოვლად შემძლებელს, რათა განაგრძოს მან სიცოცხლე თქვენი, ძვირფასი ყოველ ჭეშმარიტ ქართველისათვის, ხოლო ჩემთვის ეს ამბავი სასიქადულოც არის, ვინაიდან თქვენ ეკუთვნით ჩეენს მაზრაში მცხოვრებ დიდებულ გვარეულობას, რომელსაც ქვეყნისთვის მიუცია არა ერთი სახელოვანი გვამი მეფისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული. სახელი გამოჩენილ წინაპართა დღესაც არ გამქრალა. ჰყვანან ამ გვარეულობას დიდი ღირსეულნი წევრნი, რომელთა შორის ერთი თვალსაჩინო ადგილთაგანი გიჭერიათ თქვენცა. ყველას კარგა მოეხსენება, რა ძვირფასია ადამიანისთვის ის პატარა კუთხე ქვეყნისა, სადაც ის დაბადებულია, სადაც პირველიდ დაუნახავს მას ცა და ქვეყანა. იმისთანა ადგილი არა მარტო კერძო პირთა აქვთ, არამედ მთელს ერსაც. ქართველი ერისთვის ამ გვარ კუთხეს შეადგენს ის მიდამო, სადაც ეხლა ჩვენ ვიმყოფებით. აქ, ამ წმინდა ადგილებზე დაუწყვია ქართველობას თავის პირვე-

ლი ყოფა-ცხოვრება, აქ გაუტარებია მას თავისი ბავ-  
 შვობა და იქედანვე მოპოვენია მთელს ჩვენს სამშობ-  
 ლოს ზეციური ნათელი ქრისტეს მცნებისა. დაც-  
 ვა ამისთანა აღვილებისა, გამშვენიერება და შენახვა  
 მათი მომავალ თაობისათვის არის უდიდესი მოვა-  
 ლეობა მთელის ერისა. ბედნიერია ის ადამიანი, რო-  
 მელსაც უმაღლესი განგება ირჩევს ამ წმინდა მო-  
 ვალეობის აღმასრულებლად და უფრო ბეღნიერია  
 მაშინ, უკეთუ ეს მოვალეობა შეუსრულებია მას  
 ისეთის მხნეობითა და მოფიქრებით, როგორითაც  
 გიმსახურიათ მისთვის ოქვენ, ყოვლად პატიოსანო  
 დედაო ნინო! კარგად ვიცით, რა ნაირ სამწუხარო  
 მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ეს წმინდა აღვი-  
 ლები, როდესაც თქვენ პირველად ჩაბარდათ ათას-  
 ნაირ მოვალეობით სავსე თანამდებობა აქაურ მო-  
 ნასტრის წინამდღვრობისა. კარგად გვახსოვს, რო-  
 გორის საოცარის მხნეობით შეუდექით თქვენ  
 აღდგენას, განახლებას ძვირფას წმინდა შენობათა.  
 თქვენ დაითმინეთ მრავალნაირი გაჭირვება და შე-  
 წუხება. რამდენჯერმე შემოიარეთ ისეთი შორეუ-  
 ლი ქვეყნები, სადაც წასვლა გამოცდილ მამაკაც-  
 თაც უჭირდებათ. ამ სახით შეგროვილის ფულით  
 თქვენ მიაღწიეთ არა მხოლოდ დასახელებულს სა-  
 განს, არამედ სხვა დიდსა და სასარგებლო საქმესაც  
 გაუწოდეთ თქვენი კურთხეული მარჯვენა. თქვენ  
 პირველმა გაპირობეთ დედათა სკოლა, საიდამაც არა  
 ერთი კეთილად აღზრდილი ქალი და ოჯახისთვის  
 თავდადებული დედა შემატებია ქართველობას; გო-

ნივრულის მოქმედებით თქვენ მოუგეთ გული მთავრობასა, დაჩაგრულს ერს გაუღვიძეთ ქრისტიანული სასოება და იმედი უკეთესის მომავლისა. ამ გვარი მოღვაწეობა არა მარტო თავის ამწყოთი არის შესანიშნავი, არამედ უფრო მეტად თავის შედეგით, რადგან იგია თესლი, რომელიც მომავალში სანატრელ ნაყოფად აღმოცენდება.

შემდეგ ამისა სიტყვა წარმოსთქვა დუშეთის მაზრის წინამძღვანელმა ჭ-დმა ლ. მუხრან-ბატონმა:

## ს ი ტ ჟ ვ ა

### თქმული ჭ-დ ლ. მუხრან-ბატონისა

თქვენო მაღალ-ღირსებავ დედაო ნინო! იშვიათი ბელნიერება მომეცა დღეს მე გამოუცხადო ჩემი და ჩემის მაზრის თავად-აზნაურთა მაგიერ უგულითადესი თანაგრძნობა თქვენს მოციქულის სწორებრივს 25 წლის მოღვაწეობას. დედაო ნინო, ბევრი შრომა და ღვაწლი დასდეთ ჩვენს ქვეყანას და მარადის დაუვიწყარი იქნებით ჩვენ შორის. ამ თქვენს ღვაწლს აქვს ეროვნული მნიშვნელობა, სამაგალითო ჩვენთვის და ჩვენთა მომავალთათვის და მრავალ რიგად საგულისხმიეროა. სარწმუნოება, სჯული ქრისტესი, ისეთი მტკიცე ბურჯია, რომელმაც დაიცვა ჩვენი ქვეყანა აოხრებისაგან. იგი იყო ის ძლიერი მახვილი, რომელმაც განსდევნა მრავალი მტერი სჯულისა და ჩვენი ერისა. ჩვენ ქართველთ

სჯული და ეროვნება შევაერთეთ, შევასისხლ-ხორცეთ. ქრისტიანობა ჩვენ დედად ჩავსახეთ და მიტომაც წარმოგვიღებული ჩვარ-სული ათას მაგალითს ქართველთა თავგანწირულობისას, თავდადებას მამულისა და ეკკლესიი-სათვის, რომელთა შორის ჩვენს გულში განსხვავება არ იყო. თქვენ, დედაო ნინო, მიღრეკილებისამებრ სულისა თქვენისა, გხვდათ წილად მოღვაწეობა იმ უუწმინდესს ასპარეზზედ და ი დღეს ვდღესას-წაულობთ 25 წლის თქვენს სამაგალითო მოღვა-წეობას. თქვენ არ გასძლოლიხართ მხედრობას ჯვა-რით ხელში, თქვენ თითქმის არ გასცილებიხართ ამ მონასტრის ოთახის კედლებსა, მაშასადამე სად ვე-ძიოთ იგი დიდი ღვაწლი თქვენი და რა არის მი-ზეზი დღეს ამოდენ ხალხის აქ თავმოყრისა? არა, ჩვენ ვიცით, ჩვენ ვგრძნობთ, რომ სხვა დრო დაგვი-დგა. მტერი, რომელიც ეხლა გვაწუხებს, ჩინგის ყეინსა და აღამახმადხანებზედ, თუ ძლიერი არა, სუს-ტი არ არის. მე მოგახსენებთ ჩვენ უსწავლელო-ბასა და გაუნათლებლობაზე. და ი ამ დიდს, ჩვენ აწინდელს მტერს, თქვენ შეებრძოლეთ და რამდე-ნადაც კი გარემოება ხელს შეგიწყობდათ, დათრგუნეთ იგი. შევეხოთ ამ ყრმათა მღიმარე და ბედნიერს სა-ხეს. ვინ არის მიზეზი მათი სიხარულისა? — თქვენა. ვისის მეოხებით შეიქმნებიან ესენი ღვთის მოყვარე, კეთილნი და სათნო დედანი?! კიდევ და კიდევ თქვე-ნის, — დედაო ნინო, მეოხებით. მაშ იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ ჩვენდა სასახელოდ“.

შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა მოხერხებულად  
 და გრძნობიერად მარიამ მახარაძის ქალმა, მოწა-  
 ფემ უწინდელის მცხეთის ქალთა სკოლისამ, რო-  
 მელიც შემდეგ ქალ. ტფილისში იქმნა გადატანილი  
 და აწ ეპარქიალურ სასწავლებლად იწოდება.

## ს ი ტ ჟ ა პ

### მარ. ს3. მახარაძისა

„უძვირფასესო მაღალ-ლირსო, დედაო იღუ-  
 მენია!

თუ ვისმეს აქვს ჯეროვანი და უტყუარი სა-  
 ბუთი თქვენის დედად წოდებისა, გახლავართ ჩვენ,  
 რომლებსაც გაგვიტარებია ამ წმინდა აღვილში ჩვენი  
 სიყრმე თქვენს მფარველობის ქვეშ. შვიდი-რვა  
 წლისანი მოგვაშორეს მშობლებს, დედებს, კერას,  
 ყველაფერს, რაც ისე იზიდავდა ჩვენს ჭკუა-გონე-  
 ბას და, რასაკვირველია, ვერ ავიტანდით ამას,  
 თუ არ გაგეწიათ ჩვენთვის ნამდვილი დედობა. და-  
 ნახვისათანავე ჩვენ ჩაგვივარდა სიყვარული თქვენი  
 და შემდეგში წლითი-წლობამდე სიყვარული ესე უფ-  
 რო და უფრო მატულობდა და მატულობს დღე-  
 ვანდლამდის, თუმცა კარგა ხანია გავედით ამ სას-  
 წავლებლიდან და, ჩვენდა სამწუხაროდ, დაგშორ-  
 დით თქვენ ხორციელად, თუმცა-კი სულითა და  
 გონებით განუშორებლივ თქვენთან ვიყავით. თუმცა  
 ბედმა და ცხოვრების მოთხოვნილებამ თვით ამხა-

ნაგებიც დაგვაშორა ერთმანეთსა და დაგვთანტა აქეთ-იქით, მაგრამ თქვენის წყალობისა გამო არ გვავიწყდება ერთმანეთი, რაღანაც გაიგებს რა ვინ-მე თქვენს კარგად ყოფნასა და სიკეთეს, მოვალედ ჰრაცხს თავის თავს, აცნობოს თავის ამხანაგებსაც, იმიტომ რომ დარწმუნებულია ამაზე სასიამოვნო და საამური იმის ამხანაგებისათვის აღარა იქნება-რა. ჩვენ წავედით, დაგშორდით, მაგრამ თქვენი სურათიც წავიღეთ თანა თქვენი სახე მტკიცედ ამოვიჭდიეთ გულში და თქვენს სახელსა და დედო-ბას დავუთმეთ უპირველესი ადგილი... დღევანდელს საერთო სიხარულს ვუერთდებით ჩვენც და გულით ვისურვებთ, რომ მრავალ-უამიერ ჰყოს ღმერთმა თქვენი სიცოცხლე სასიხარულოდ და სასიამოვნოდ ჩვენდა.

მიიღეთ, დედაო, იაფი, მაგრამ უძვირფასესი ჩვენთვის, თქვენი სურათი და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს სახელს გარდავცემთ შვილებსა და შვილი-შვილებს“.

ახალის ქალთა სკოლის პატია მოწაფეთ ორიო-დე ტკბილი სიტყვა მოახსენეს თავიანთ საყვარელს იღუმენიას და უძღვნეს პატია ყუთი პატარა „სა-დესერტო“ იარაღით (კალანდარა შვილისაგან). აქ იუბილიარმა სიხარულის ცრემლი ვეღარ შეიკავა, გადასწერა ყრმათ პირ-ჯვარი და დალოცა.

შემდეგ წარდგნენ: ახალგაზდა მხატვარი მრე-ვლი შვილი, რომელმაც მიართვა იღუმენიას მისი სურათი, თავისს მიერ დახატული, და მ. დავით

ციციშვილი, რომელმაც მიართვა საუცხოვო სამწერლო მოწყობილება და შესაფერი სიტყვა მოახსენა; ვლადიმერ გედევანიშვილმა მიართვა პატიაქანდაკება წმ. ნინოსი, თავისი გაკეთებული. ეპისკოპოს გრიგოლისაგან იყო წარმოგზავნილი სამწერლო იარაღი ხისა, ერთობ მშვენიერი, ალაგობრივის ხელოვნებისა. ალექსანდრე ეპისკოპოზის მაგიერ ბ-ნმა ალექსანდრე არდაზიანმა. წაიკითხა შემდეგი მილოცვა:

### მ ი ლ ო ც ვ ა

#### ალექსანდრე ეპისკოპოზისა

„დედა იღუმენია ნინო! წმინდის გულით მოგილოცავ თქვენს 25 წლის ღვაწლსა და სამხა-ხურს, იღუმენიობის ხარისხში გატარებულს. მადლი ღვთისა იყავნ თქვენზედ, რათა განცისკროვნდეს დღენი თქვენი საქართველოს ისტორიის ცის კიდურზედ მრავალ უამიერ“.

სიტყვები წარმოსთქვეს: მღ. ასათიანმა, ბ-ნმა ნაკაშიძემ და ბოლოს მცხეთელმა გლეხმა ზაქარია გარსევანიშვილმა, რომელმაც თავისი სიტყვა გაათვა შემდეგის თავისისავე ლექსით.

იღვაწი სამშობლოსათვის, თავსა არ აძლევ შვებასა,  
 უძველის ძველესს ტაძართა არ აკლებ განახლებასა;  
 მართალის გულით წინამძღვრობ და სიმართლით მწყსი კრე-  
 მალერსები შენ მხოლოდ სამშობლოს განათლებასა. [ბასა,

ნეტარ ხარ ჩვენის ქვეყნისთვის, დიდ საიმედო მშრომელი,  
იბრძვი და სცდილობ ჩვენთვისინ გულითა დაუცხრომელი.  
პდიდოს ღმერთმა სახელი თქვენი, დიდების გრძნობელი,  
ნათელ ხარ ჩვენის ქვეყნისა და წყარო დაუშრობელი.  
ის წმიდა ჯვარი ვაზისა სიყრმითვე შეგყვარებია,  
ნეტარის ნინოს სამყოფელს ტაძარი გიშენებია.  
პმისთვის ღონისძიება სხვა ქვეყნით შეგიკრებია,  
სამარადისო სახსოვრად სამშობლო გიშვენებია.

ღვთის მსახურებით აღსავსე აღსრულებ უფლის ნეპასა,  
თქვენებრივ მშრომელს სამშობლო აღიდებს, უძღვნის ქებასა.  
ის ტკბილი ძუძუ საქვეყნოდ უწოდებია დედასა  
და აღუზრდიხართ თვის ძეგლად, ნეტარ მათს ნეტარებასა.  
მშობლურის ხელით ობოლი გიზრდია, გიშვილებია,  
იმათვის ტანჯვა და შრომა აროდეს დაგზარებია.  
უფლის მოცემულ სასწორი სიმართლით გიტარებია  
და იმ სასწორით მანანა ყველასთვის გიწილებია.  
იცოცხლე, იყავ მშვიდობით, გიცოცხლოს თქვენი კრებული,  
რომ თქვენის ლოცვით შეიქმნეს სამშობლო განათლებული.  
იცოცხლე, ტაძართ მშვენებავ და ობოლთ ღელავ ამ სოფელს,  
თქვენ მარადისად დიდება და განათლება თქვენს მშობელს.

ქ-ნმა გორნიჩისამ და ნ. ამილახვარმა ხუთ-ხუთი  
თუმანი ქალთა სკოლას შესწირეს. შემდეგ ამისა იუ-  
ბილიარმა მიიწვია სტუმარნი ყავაზედ. საათის სამ-  
ზედ დაიწყო სადილი. პირველი სადლეგრძელო გე-  
ნერალმა ჰ-დ ნ. ამილახვარმა წამოსთქვა ხელმწიფე  
იმპერატორისა, რომელიც ყველამ ფეხზედ წამოდ-  
გომით მიიღო, „ურასა“ და მრავალ-უამიერს ბო-  
ლო აღარა ჰქონდა. მეორე სადლეგრძელო იყო იღუ-  
მენია ნინოსი. აქ კვლავ წარსდგა ნიკ. ალექს.-

მესხიშვილი, მასპინძელი და თავდარიგის მიმცემი მთლად დღესასწაულისა და ვრცელს სიტყვაში აღნიშნა ღვაწლი იუბილიარისა. სიტყვებით შესვეს სადღეგრძელო აგრეთვე ბატონმა რატიშვილმა და მ. ნ—ძემ. უკანასკნელმა მოახსენა სხვათა შორის:

## ს ი ტ ჟ ვ ა

### მ. ნ—ძისა

„თქვენო მაღალ – ღირსებავ, დედაო ნინო! დიდი და უტყუარია ღვაწლი თქვენი ამ დედათა მონასტრისა და ქალების აღზრდა-განათლებისადმი მოტანილი. ამ საგანზედ დღეს მრავალი ითქვა და მე არა მსურს განვიმეორო იგივე. მე მსურს მხოლოდ ალვნიშნო საზოგადო და საქვეყნო მხარე თქვენის ცხოვრებისა. მოგეხსენებათ, ბატონებო, უამთა ბრუნვამ და უამთა-ცვლამ იმ უკიდურესობაში ჩაგვაგდო, რომ ჩვენ, ძენი დიდებულთა, მხნე და გამჭრიახო მამა-პაპათა, ლაჩრებად, ულონო და უსაქმო ხალხად გადავჭრეულვართ. თუ წინად ასი ქართველი ათასს სძლევდა, დღეს დარწმუნებით ვიტყვით, ათასს ქართველს ათი მტერი დასძლევს. რადა? იმიტომ, რომ დავწვრილმანდით, სულით დავვეცით, ლონით დავუძლურდით. ნუ დავუწყებთ ძებნას მიზეზს ამ სულიერად დაქვევითებისას. ეს შორს წაგვიყვანს. მხოლოდ აღვნიშნოთ, აწინდელნი ქართველნი რომ შევიკრიბებით რაიმე საქმის გასაკეთებლად, მაშინვე

ვიწყობთ გოდებას: „აბა ჩვენ რა ვართ, რა შეგვიძლიან, ჰევ ჩვენ ხომ არაფრის შნო არა გვაქვს, ჩვენ ქართველები ვართ და სხვა“. ასეთი სულით დაცემა, ასეთი სასოწარკვეთილი მდგომარეობა ეწვევა ხოლმე როგორც ერთს კერძო კაცს, ისე მთელს საზოგადოებას, ერს.

აქ ბრძანებულნი, წარჩინებულნი მხედარნი რუსეთის მხედრობისანი დამეთანხმებიან, რომ ხშირად დიდი და ძლიერი მხედრობა ვარდება ასეთს მდგომარეობაში და ი კიდეც ამ დროს უნდა დაიჭიჭოს გამამხნევებელმა შეუშინარმა ვაჟკაცმა, მამაცმა, უშიშარმა ხმამ მხედართ-მთავრისამ. ასეთი ხმა შთაბერავს სულს, გააცოცხლებს მხედრობას, თავზარდამცემი მამაცობა სარდლისა ელექტრონიკით მოედება ყოველ მხედარსა და შთაბერავს ისეთ ძალას, რომელიც ერთის წამით წინად აღარ მოეპოვებოდა არავის. ასეთია საზოგადო მოქმედება დიდის გვამისა, ძლიერის კაცისა ერზედ. თქვენ, დედაო ნინო, ერთს ასეთს გვამად მიგვაჩნიხართ თქვენს ასპარეზედ. თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ ჩვენც კაცნი ვართ და შრომა და ღვაწლი შეგვიძლიან. მაგალითი გადამდებია და ღვაწლი თქვენი წაუბაძავი არ დარჩება. მეორე მხარე თქვენისთანა მოლვაწეთა არსებობისა უფრო შესანიშნავია. მოგეხსენებათ, ბატონებო, რა განხეთქილება არსებობდა და ეხლაც არ გამოლეულა სხვა-და-სხვა ქართველ ტომთა შორის. ვინ იცის, რა უკიდურესობამდე მიაღწევდა ეს განხეთქილება, რომ შემაერთებელი და შემარიგებელი

ძალა არ იბადებოდეს დრო-გამოშვებით. ეს ძალა არის საერო, საქვეყნო, საყოველთაო კაცი. ვიღას ახსოვს განსხვავება და შუღლი, როდესაც გავიხსენებთ წმ. ნინოს, თამარს, შოთას. ისინი ჩვენია, ყველა ვამბობთ, და თუ ეს ასეა, ჩვენც ერთნი ვართ ყველანი! ასეთია დღევანდელი დღესასწაულიც. ყოველმა კუთხემ ჩვენის ქვეყნისამ დღეს ხმა ამოილო და ზოგმა აქ დასწრებით და ზოგმაც დეპეშით განაცხადა თვისი სიამოვნება და გიძლვნათ მოლოცვა თქვენის 25 წლის ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის. მაშასადამე, დედაო ნინო, თქვენც ეკუთვნით იმ მცირედ გუნდს დიდის კაცებისას, რომელნიც ამხნევებენ და აერთებენ კაცთა საზოგადოებათ. იცოცხლეთ მაშ მრავალ-უამიერ, ნეტარო დედაო ნინო, ჩვენდა სასახელოთ“.

„შემდეგ ამისა იქმნა წაკითხული მოლოცვის დეპეშები მაღალ-ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსის პალლადისა პეტერბურგიდან:

„გილოცავთ 25 წლის ღვაწლს იღუმენობისას, შევთხოვ უფალს ლოცვა-კურთხევას თქვენთვის. ამბავი თქვენის ღვაწლისა წარდგენილ ექმნა სინოდს“.

ეპისკ. აგრედვე გრიგოლისაგან, კონსტანტინე მამაცაშვილისა და მრავალთ სხვათაგან, რიცხვით 25 სხვა-და-სხვა დაბისა და ქალაქიდან. დასასრულ ლხინისა კვლავ დალიეს სადღეგრძელო მეიუბილეისა. აქ იღუმენია წარმოსდგა და შემდეგის სიტყვებით გადაუხადა მაღლობა საზოგადოებას:

## ს ა გ ა დ ლ ო ბ ე ლ ი ს ი ტ ჟ ვ ა

### ი ღ უ მ ე ნ ი ა ნ ი ც ი ს ი

„ენა ჩემი უძლურ არს წარმოსათქმელად გულითადის ჩემის მადლობისა თქვენდამი, ჩემო მოწაფენო, დანო და ძმანო მე ღირსი არა ვარ ამ პატივისცემისა, რომელით ღირს მყავით მე დღევანდელს დღეს! დღევანდელი დღე აქრობს, მავიწყებს იმ მწუხარე წამთ, რომელნიც ბედმა ჩემმა შემახვედრა დღევანდელამდე სიყრმითვე ამ მონასტერში აღზრდილმა გამოვცადე ბევრი კარგი და ცუდი. სიყრმითვე მივეც აღთქმა თავსა ჩემსა, რომ შემეწირა ჩემი სიჭაბუკე, სრულ-ასაკობა და მოხუცება კეთილ-დღეობისათვის ამ მონასტრისა. როგორ შევასრულე ეს ჩემი სიტუა და რა ნაყოფი მიიღო ჩემმა შრომამ, მის განსაჯვა მე არ შემიძლიან“.

ცოტა გვიან მობრძანდნენ საღილზედ არქიმან-დრიტები მაკარი და ნიკოლოზი. ამათაც მიჰმართეს იუბილიარს გრძნობით აღსავსე სიტყვებით. საღილმა მხიარულად ჩაიარა. საათის შვიდზედ მრავალ-რიგად ნასიამოვნები სტუმრები გამოეთხოვნენ მეიუბილეეს, გადაუხადეს მადლობა მასპინძელსა და თავდარიგის მიმცემს ბ-ნ ალექსი-მესხი-შვილს მეუღლითურთ და დაიშალნენ.

მრავალ მისალოც დეპეშათა შორის, რომელიც მიუვიდა იღუმენია ნინოს, მეიუბილეებ მიი-

ღღ შემდეგი დეპეშა კავკასიის მთავარ-მმართებლის  
 შერემეტიევისა და მის მეუღლისაგან:

„მოგილოცავთ იუბილეის და ვისურვებთ  
 თქვენთვის ყოველსავე სიკეთეს. დიდად ვხწუხ-  
 ვართ, რომ ვერ დავესწარით თქვენის იუბილეის  
 დღესასწაულს.“

ამ დეპეშის პასუხად ილუმენია ნინომ მისწერა  
 მის მაღალ-აღმატებულებას:

„დიდად ბედნიერი ვარ და დიდად სასიქადუ-  
 ლოა ჩემთვის ის პატივისცემა, რომლის ღირსიც შე-  
 ვიქენი მისის აღმატებულების ევდოკია ბორისის  
 ასულისა და თქვენ მიერ. ღმერთსა ვსთხოვ თქვენს  
 დღეგრძელობას სასარგებლოდ ჩვენის ეკლესიისა და  
 თქვენდა მონღობილის ქვეყნისა.“



